ფსიქიკური ჯანმრთელობა და ნაადრევი ეაკულაციის მკურნალობა

ელისაბედ ანდღულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ეკა ჭყონია

ზურაბ მარშანია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

1.2. განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელისაბედ ანდღულაძე

01.02.17

1.3 აბსტრაქტი

ნაადრევი ეაკულაცია (ნე) არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება მამაკაცების სექსუალურ დისფუნქციათა შორის, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარებას. ბოლო წლებში სპეციალურად ნე-თვის მოწოდებულია დაპოქსეტინის ჯგუფის პრეპარატი, რომლის მიღებაც ხდება უშუალოდ კოიტუსამდე. ჩატარებული კვლევების მიხედვით დაპოქსეტინს აღენიშნება მკურნალობის მაღალი ეფექტურობა სეროტონინის უკუმიტაცების სელექტიური ინჰიბიტორის (სუსი) ჯგუფის სხვა პრეპარატებთან შედარებით.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პოპულაციაში ნაადრევი ეაკულაციით დაავადებული ადამინების ფსიქიკური მდგომარეობის და მკურნალობის ეფექტურობის შესწავლას.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა არის რაოდენობრივი, რომელიც ჩატარდა 58 პაციენტში. ნაადრევი ეაკულაციის დიაგნოზი დადასტურებული იქნა კლინიკური ინტერვიუს და ნაადრევი ეაკულაციის სადიაგნოსტიკო ტესტის (PEDT) საშუალებით. ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომაროების შეფასება მოხდა მოკლე ფსიქიტრიული შეფასების სკალით (BPRS).

კვლევის შედეგებიდან გამომდნარე დადასტურდა ნაადრევი ეაკულაციის კორალაციური კავშირის არსებობა ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთ სიმპტომებთან, როგორიც არის: დეპრესია, ემოციური გამოხატვის დაქვეითება, ემოციური გასადავება, მოტორული შეკავება, თვითბრალდება, დაძაბულობა. კვლევით ასევე დადასტურდა დაპოქსეტინით მკურნალობის უპირატესობის ტენდენცია, სუსი-ების სხვა ჯგუფის პრეპარატებთან (ვენლაფაქსინი, ესციტალოპრამი) შედარებით.

საძიებო სიტყვები: ნაადრევი ეაკულაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დაპოქსეტინი, დეპრესია, თვითბრალდება;

1.4 მადლობა

გაწეული დახმარების, დროული უკუკავშირისა და მხარდაჭერისათვის, დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელებს ქალბატონ ეკა ჭყონიას და ბატონ ზურაბ მარშანიას. მათი მნიშვნელოვანი რჩევების და კონსულტაციების გარეშე აღნიშნული კვლევა ვერ ჩატარდებოდა.